*მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვირეული
2016 წლის 17 მაისს 19:00 საათზე დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, გიწვევთ ქართული მხატვრობის გამორჩეული წარმომადგენლის ქეთევან მაღალაშვილის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენასა და წიგნის პრეზენტაციაზე ,,ქეთევან მაღალაშვილი 120“.

ქეთევან მაღალაშვილის როლი მნიშვნელოვანია, როგორც ქართული პორტრეტული ხელოვნების, ასევე, მთლიანად ახალი დროის ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. მხატვარმა ფაქტობრივად შექმნა ქართული სახელოვნებო და მეცნიერული ელიტის სახვითი მატიანე.

აღნიშნული გამოფენა მიზნად ისახავს, ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედების ერთიანი, კომპლექსური, რეტროსპექტული სურათის წარმოდგენას ფართო საზოგადოებისათვის – საქართველოს მუზეუმების ფონდებში და კერძო კოლექციებში დაცული მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი 70-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, რომელთა ნაწილიც საზოგადოების წინაშე პირველად გამოიფინება. ასევე, გამოფენაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ იხილონ ქეთევან მაღალაშვილის მიერ, გასული საუკუნის 20-იან წლებში შესრულებული, დავით გარეჯის X-XII საუკუნეების ფრესკის –

,,საიდუმლო სერობა“ ასლი.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალა: ქეთო მაღალაშვილის კერძო ხასიათის ღია ბარათები, წერილები, ადრეული პერიოდის ფანქრით შესრულებული ჩანახატები და სხვა.

ქეთევან მაღალაშვილის საიუბილეო გამოფენის ფარგლებში შედგება ორენოვანი (ქართულ–ინგლისური) მონოგრაფიის ,,ქეთევან მაღალაშვილი 120“ პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. მონოგრაფიის ავტორია ხელოვნებათმცოდნე ნანა მირცხულავა.

მისამართი: დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა, შოთა რუსთაველის გამზ. 11.